ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 250

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და 127[2] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „შპს „გუდაური სქი რესორტის" (ს/კ: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის №19.818.1071 განკარგულების დანართის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. საპრივატიზებო ტერიტორიებზე არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, 2020 წლის 31 აგვისტომდე, ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „გამყიდველი”) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ----- სახით, ხოლო მეორე მხრივ, შპს „გუდაური სქი რესორტ“ (ს/კ: 204576066) წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელი, გვარი) სახით (შემდგომში „მყიდველი“),

„შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის N19.818.1071 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის N---- განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. საპრივატიზებო ტერიტორიებზე არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორიცელება, 2020 წლის 31 აგვისტომდე, ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით“.

1.2. ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკი ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართის შესაბამისად.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება საჯარო რეესტრში წარდგენას.

3. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

4. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება სანოტარო ფორმით ხელმოწერის დამოწმებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მყიდველს“.

5. შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„გამყიდველი“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„მყიდველი“
შპს „გუდაური სქი რესორტ“

დანართი

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკი

შესასრულებელი სამუშაოები და მათი დასრულების ვადები		ინვესტიციის ოდენობა
	2016 წლის სექტემბრამდე შესასრულებელი სამუშაოები	
		არანაკლებ 1 428 000 აშშ დოლარი
	2016 წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოები	
ა	მაღალი ძაბვის ქვესადგურის მონტაჟი	არანაკლებ 28 000 აშშ დოლარი
ბ	სასმელი წყლისა და კანალიზაციის შიდა ქსელის მოწყობა	არანაკლებ 94 000 აშშ დოლარი
	2017 წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოები	
ა	გასახდელის შენობის სამუშაოების დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება;	არანაკლებ 692 788 აშშ დოლარი
ბ	გასახდელის შენობისათვის გაზის შიდა ქსელის მოწყობა; გასახდელის შენობის გაგრილება; გათბობა; ვენტილაცია; საქვაბის, ცხელი და ცივი წყლის სისტემის მოწყობა;	
გ	მთლიანი გასახდელის შენობისათვის ინვენტარისა და ავეჯის შეძენა;	
დ	გასახდელის შენობაში სატრენაჟორო დარბაზის მოწყობა და მისი ინვენტარით/სავარჯიშო მოწყობილობებით აღჭურვა;	
ე	გასახდელის შენობაში საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, მისი ინვენტარით/ავეჯით აღჭურვა;	
ვ	გასახდელის შენობაში კაფე-ბარის მოწყობა, მისი ინვენტარით აღჭურვა;	
ზ	გასახდელის შენობაში ოფისის მოწყობა და მისი ავეჯით/ინვენტარით აღჭურვა;	
თ	ტრიბუნებზე სკამების დამონტაჟება;	
ი	ერთი მოედნის განათება და ელექტროენერგიის განაწილების შიდა ქსელის მოწყობა	
	2018 წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოები	
	გასახდელის შენობისა და მოედნებისათვის პარკინგისა და შიდა გზის მოწყობა, გასახდელის შენობაზე ორი კიბისა და სპორტული კომპლექსის ორი საყრდენი კედლის პროექტირება და მშენებლობა/მოწყობა	არანაკლებ 195 000 აშშ დოლარი
	2020 წლის 31 აგვისტომდე შესასრულებელი სამუშაოები	

ა	3 (სამი) ვილის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება	არანაკლებ 2 450 000 აშშ დოლარი
ბ	ტერიტორიის კეთილმოწყობა; სარეაბილიტაციო ცენტრის მოწობა	არანაკლებ 112 212 აშშ დოლარი

ჯამში: არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარი